ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3724173001**

თარიღი:**21/06/2024**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის და ამავე საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N78 განკარგულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს 2024 წლის 21 მაისიდან მიმდინარე წლის 20 ივნისის ჩათვლით მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები აუნაზღაურდეს (საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს ფრაქციის სხდომებში, დროებით სამუშაო ჯგუფებში მუშაობაში მონაწილეობისათვის. ასევე, ამომრჩეველთან გასვლითი შეხვედრებისათვის და ადმინისტრაციული შენობაში მოქალაქეთა მიღებისთვის,) დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი